

K 234

1

პროლეტარებო უცელა ქვეყნისა, შეერთების

## დოკუმინოლოგიის საკითხები

ეს პირველი საავადმყოფოს ქირურგიულ განცოცვილებასთან და  
ლისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიულ კლი-  
იკათან (გამგე პრიფ. ა. წ. უ. ლ. უ. კ. ი. ძ. ე) არსებული ენდოკურინო-  
ლოგიური კაბინეტის დროგამოშვებითი ორგანო.

1934	ო ქ თ ი მ ბ რ ი ს	№1
რედაქციის მისამართი: ტფილისი, ნინოშვილის 16.	რედაქტორი ი. ა. ს. ლ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლი რედაქციის მდიგარი ა. ა. ბ. ა. შ. ი. ძ. ე	

ი. ა. ს. ლ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი

ქირურგიული კლინიკის ასისტენტი  
და ენდოკურინოლოგიური კაბინეტის გამგე

## ზემო სვანეთის მინერალური წყაროები

(ს. ე. რ. ი. ა. 1. ბეჭას თემის მინერალური წყაროები)

საქართველოს ჯანსახომისარიატის სამეცნიერო ექსპედიციის გამოცემა  
ზემო სვანეთი. მესტია

1934

11

დააბრუნეთ წიგნი დროზე  
Возвратите книгу во время

---

„ე ნ დ ო კ რ ი ნ ო ლ ო გ ი ი ს ს ა კ ა თ ხ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ  
ნ ო შ რ ი ს გ ა მ ო ს გ ლ ი ს ა თ ვ ი ს ჟ ე მ ი ს ვ ა ნ ე თ შ ი

„ენდოკრინოლოგიის საკითხებს საბჭოთა კავშირში ფრიად დიდი  
მნიშვნელობა ეძლევა; შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მაძლვრება  
საბჭოთა კავშირში სრულიად ახალი მიმართულებისა და განვითა-  
რების გზით მიღის. ვინაიდან ენდოკრინული დაავადებათა პათოგე-  
ნეზება და ეტიოლოგიაში სოციალური ფაქტორების მასიური შესწა-  
ვლა და ენდოკრინული მასიური პროფილაქტიკა წამოყენებულია,  
როგორც დიდი პრობლემა, ამისათვის ზემოთმოხსენებულ მხარეს ენ-  
დოკრინოლოგიის დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.  
იქმნება საგანგებო ორგანულებაშიადები, როგორც მშრომელთა ფა-  
რთო შახებისათვის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხელმისაწვდო-  
მი საშვალება; ამდაგვარი მოქმედებით და მუშაობით ცველა ენდო-  
კრინოლოგიური სამეცნიერო დაწესებულებები საბჭოთა კავშირში  
თავის თავად სოციალისტური მშენებლ იაბის მონაწილენი არიან.  
სწორედ ასეთი მიმართულების მიხედვით შინაგანი სეკრეციის ვი-  
რკველთა მოძლვრებამ აიწია ჩვენში იმ პრინციპითალურ სიმაღლემდე,  
რაც არ შეიძლება მონდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამის და მი-  
ხედვით საბჭოთა კავშირში შექმნილია ცველა ის პირობები, რაც სა-  
შვალებას გვაძლევს ზუსტად აღვნუსოთ ცველა ეს დაავადებანი  
და სათანადო ბრძოლაც გავშალოთ მათ წინაამდეგ.

საბჭოთა საქართველოშიც ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს.  
მენდოკრინოლოგიის საკითხებს სათანადო ყურადღება ექცევა.  
ჯანმრთელობის ორგანოები და დაწესებულებები ჩაბმული არიან ამ  
უშაობაში. ეწყობა მრავალი ექსპედიციები საქართველოს ცველა კუ-

თხევებში ჯანსახკომისარიატისა და მის ქსელში შემავალ სამეცნიერო ინსტიტუტების ხაზით , განსაკუთრებით კი საქართველოში გაგრცელებულ ჩიყვის წინაამდეგ . შეიძლება ითქვას , რომ ჩვენ უკვე შესამჩნევი მიღწევები გვაქვს ჩიყვის გამოკვლევის და მის საწინაამდეგო მაღლებული ზომების მხრივ .

სამეცნიერო - საკულეო ინსტიტუტებში და სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებში და კათედრებზე სწარმოებს მუშაობა და გამოკვლევები ენდოკრინოლოგიის დარგში . ჯანსახკომის სამკურნალო სამსართველოსთან მოშუობილ ენდოკრინოლოგთა პირველ თათბირზე გამოტანილი იქნა ფრიად საგულისხმო დადგნილებები .

ქალაქის ჯანგანულოვილების მიერ დაარსებულია პირველი ენდოკრინოლოგიური კაბინეტი საქართველოში ქალაქის 1-ლ საავადმყოფოსთან .

ენდოკრინოლოგიურ კაბინეტს გაშლილი აქვს მუშაობა როგორც ტუილისის ქარხნებსა და სხვა წარმოებებში , აგრეთვე საქართველოს ზოგა კუთხებში . განსაკუთრებული მუშაობა და მთავარი კვლევა - ძიება კი ჯერ ჯერობით სწარმოებს ზემო სვანეთში , სადაც 1933 წლის პირველი ცდა მინერალური წყლების გამოყენებით ჩიყვის წინაამდეგ დადგებითად ჩატარდა , მხოლოდ 1934 წლის მეორე ცდაც მინერალური წყლებიდან მარილების გამოყოფით აგრეთვე დადგებითად ჩატარდა .

მოელს ჩვენს მუშაობაში უეჭველად კავშირი გვექნება გაბმული როგორც საქართველოში , ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებით ზემოა იმ ამზანაგებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან , ვინც კი ენდოკრინოლოგიის საკითხებით დაინტერესებული არის .

ამ შემთხვევაში „ ენდოკრინოლოგიის საკითხები “ - ც იქნება ის ორგანო , რომელიც სინამდვილეში გააუქმებს ენდოკრინოლოგიის საკითხებს . მხოლოდ ჯერჯერობით ამ საკითხებს შორის მთავარი აღვილი დაეთმობა ჩიყვის პრობლემას საქართველოში , რადგან ეს პრობლემა ჩვენში მეტად დიდმინიშვნელოვანია .

„ ენდოკრინოლოგიის საკითხები “ - ს პირველი ნომრის გამოცდა ზემო სვანეთში - ამასვე დადგებს

## 0. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

ქირუჩეგიული კლინიკის ასისტენტი და  
ენდოკრინოლოგიური კაბინეტის გამგე

# ზემო სპასალის მინერალური წყაროები

ს ე რ ი ა 1. ბეჭის თემის მინერალური წყაროები \*)

(1933 წლის სამეცნიერო ექსპედიციიდან ზემო სვანეთში: 1) საქართველოს ჯანსახკომისარიატის მხრივ ჩიყვის საწინამდევრო ზომების ჩასატარებლად და 2) საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის მხრივ კურორტების ა და ტურიზმის შესახვალად).

ა

როდესაც ზემო სვანეთზე ვლაპარაკობი, როგორც კურორტზე და როდესაც ეს საკითხი უკვე დღის წესრიგში წამოიჭრა, უმცველად მის მაღალმთიან თვისებებთან, როგორიც არის ჰავა, ტენი, თოვლ-ყინულების სიახლოეს, ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს საერთოდ კურორტის ძირითად თვისებას მინერალური წყლის სახით. ამათანაც ვი კუ-

\*) მოხსენებულია ზემო სვანეთის კურორტებისა და მოგზაურობა-მთა-სვლობის განვითარებისა და ჩიყვთან ბრძოლის საგანგებო დამხმარე კომიტეტის კრებაზე ბეჭიში 1933 წლის 10 ოქტომბერს.

რაოროგზე გამოყენების გარდა, თუ კიდევ მას მივეცით ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორიც ეს /დღეს-დღეობით წამოგაცენეთ კერძოდ სვანეთში და საერთოდ მოქლ საქართველოში, როგორიც არის სოციალური დაავალებასთან -ჩიყვთან ბრძოლის დიდი პრობლემა, ცხადია სვანეთის პირობებში საერთოდ და ზემო-სვანეთში კერძოდ მინერალურ წყლების საკითხს, მათ აღნუსხვას, მათ უზრანვას და გამოყენებას უმჭ-ველოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

შევეხოთ ამ შემთხვევაში ჯერჯერობით ბერის თემს, საჭაც შედარებით ზემო-სვანეთის სხვა თემებთან მრავალი მინერალური წყაროებია გაფანტული სულ რაღაც 10-15 კილომეტრის მანძილზე შიგ სოფლებში, ოდნავ მათგან მოცილებული და აგრეთვე ნაწილობრივ რამოდენიმე მათგანი 1-2 კილომეტრით დაცილებული. ყველა ეს წარები ბერის თემში არსებული მდებარეობითაც ამონტენებენ 1100 1800 მეტრის სიმაღლის ფარგლებში ზღვის დონედან. ამათგან 28 წყარო, უნდა ვიფარით, თითქმის შუდინვად ამონის და მოსიანს, მაგრამ არის მინერალური წყაროები, რომელიც მდინარე, დალრას დაკლებისას აღმოჩებიან და ასეთი კი მრავალია. ჩვენ იგინი არ მოვაჭირო ჩვენი გამოკვლევის ნუსხაში ჩვენ მხოლოდ შედეხებით 28 წყაროს, რომელიც ვინარულებთ და თითქმის ყველა მათგანი 2-3 წყაროს გარდა, მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საკუპით მისაწვდომია.

ამა. გერმანე მ ე მ ა ნ ი შ ვ ი ლ თ ა ნ ერთად ორი დღის განმავლობაში 1933 წლის 14 და 15 ოქტომბრის შემოვიარეთ ბერის თემის მოელი მიღამოები ნაწილობრივ ცხენით, ნაწილობრივ ფეხით და შეძლებისდაგვარად შევადგინეთ ბერის თემის ნინერალური წყლების სრული და ზუსტი რუკა.

აღსაზღავია ის გარემოება, რომ რუკებზე მოყვანილია აღნიშნული მინერალური წყაროებიდან ზოგში მხოლოდ ერთი წყარო -მაგალითად 5 და 10 ვერსიას რუკებზე, მხოლოდ ერთი ვერსიან რუკაზე კი მოყვანილია ორი წყარო: შინერაშეგიმ და სკელშიშეგიმ, ისიც სახელწოდე-

ზის აღუნუსხავად. შესაძლებელია, რახაკეირველია, იმ ხანგბში, როცა  
რუკები დგებოდა 1890-ს და შემდევ წლებში, ეს წყაროები სრულია-  
დაც არ არხებობდენ; ან თუ არსებობდენ, აღმოჩენილი არ იჯვნენ და  
მათ შესახებ არავინ იცოდა რაიმე. ასე მაგალითად უკვე ჩერნ მახსო-  
ვრებაში იქნა აღმოჩენილი რაელდებიერ წეარო, უფრო ს, ორედ რომ  
ვსოქვათ, ამოხეთქეს ამ წყაროებმა უკანასკნელი ორი ათეული წლების  
ხანაში. მრავალზ მათგანი ამა თუ იმ პირობების საშვალებით იქნა მო-  
წეხერიგებული და ხმარებაში შეყვანილი, მაგრამ მაინც მრავალი მათ-  
განი დღესაც უხმარებელია მოსახლე აზის მიერ, იმის მიუხედავათ რომ  
ზოგიერთი ამ წყაროებისა შიგ სოფელშია, ან მის ახლოს 100-200 მე-  
ტრით დაცილებულია სოფლიდან. მაგალითად დღეს-დღეობით ხმარე-  
ბაშია გასაკუთრებით მხოლოდ 5 მინერალური წყაროდა ისიც სოფელ  
უშვანარის მიდამოებში, თუ არ მიცილეთ მხედველობაში თვით იე-  
რის ის მიდამოც, რომელსაც დოლა-სვიცი ჰქვია და საღაც მოთავ-  
სებულია სათმო დაწესებულებები. მაგრამ ეს წყაროც იმ სუთის  
რაოდენობაში შედის.

ბერის თემში არსებული 28 ნინერალური წყაროდან ნაწილი  
მოთავსებულია მდინარე დოლრას მარცხენა ნაპირის მიღ მ ებში,  
ნაწილი კი მარჯვენა ნაპირით. ასე მაგალითად მდინარე დოლრა  
მარჯვენა ნაპირის მიდამოებში მოთავსებულია 9 წყარო, მხოლოდ  
მარცხენა ნაპირის მიდამოებში 19. უკანასკნელიდან მდინარე დალ-  
რას შესართავის – მდინარე გული აღას ხეობაში 3 წყაროა, მხოლოდ  
ერთი მათგანი მდინარე გულჭალას მარცხენა ნაპირზეა და 2 მარჯ-  
ვენა ნაპირზე. ამრიგად მდინარე დოლრას შარჯვენა ნაპირის მიდა-  
მოებში შემდეგი 9 მინერალური წყაროა: 1. სკელიშეგიმ, 2. ტვები-  
შიშეგიმ, 3. ლაყდანიაშეგიმ, 4. მეცვრაშეგიმ, 5. კავაშ, შეგიმ, 6. კვა-  
ჩანიაშკოვაშეგიმ, 7. ლაბდულდაშეგიმ, 8. გალშიშეგიმ, 9. ტყირ-  
შილდარიშეგიმ; მხოლოდ მის მარცხენა ნაპირის მიდამოებში 19 შე-  
მდეგი წყაროა: 10. შტრერაშეგიმ, 11. ლატარიშკ ნიჩიშეგიმ, 12. ში-

է համեստ, 13. ჭոճուլդումեցօթ, 14, 15, 16. — և ամո Շյարու զե՛կամա-  
հովերիոմեցօթ, 17. նամյուրամեցօթ, 18. ցուլումեցօթ, 19. ծագանար-  
ոմեցօթ, 20. ցըրմանոմեցօթ, 21. ղթեցանարոմեցօթ, 22. զաեւանցոմեցօթ,  
23, 24. գոլասցուցոմեցօթ, 25, 26, 27. եցոմլդարոմեցօթ, 28. լապ-  
լմահարոմեցօթ.

Ցեմուանումենուլու Շյարուցօթ աղճուսեցա մոռցանոլու մօնարհ գոլ-  
հաս որոցք նագորու հիրդուլու — սամերետու մօնարտուլցեցուտ. մաստա-  
բաց պայլա Շյարու սաեւլուլցեցա մոռցանոլու ուս, հաղորդու ամաս  
է աղջու ցմանու դա եմարոնն. սաեւլուլցեցա Շյեւլցեցա ոմ մօնամու սա-  
եւլուլցեցու աղճումնուտ, սահապ տուացրացուլուա արու Շյարու մո-  
տացեց թշուլու դա սումյա „Տցոմոյ“-ս դամաւրեցու, հապ եցանուրա մոնց-  
հալուն մյաց Շյալս նոմաց դա մօնաելուրոնապ աս եմարոնն. ամիո-  
ցա հիշե զեւածու ար դացուրուցու եցանուրու սաեւլուլցեցու դա  
ասեց Շյեցեւանա հոյսակեց.

Հապ Մյեցեցա ամ մօներսալուրու Շյարուցօթ մօներսա դա մատ մա-  
նեուլու դասաելութշուլու աջցուլուամց, ու Շյեմձեցշու ցամուսեաւրեցա: Հա-  
ւուլցեց թշուլու 100 մըրտու 2 Շյարու, 150—5, 200—3, 300—2, 400—3  
Ենչյահու յոլումերուտ — 3, 2—1, յորտ նայեցարուտ — 2, 2—2, 3—1.

Շրուած մօնշանելուցանա ացճու մօնուտ ամ Շյարուցօթ ցամումլունարեց-  
ծու աջցուլու կուլց ան միին. մացա լուուա ամ 28 Շյարուլան 4 ցալ-  
մունու կուլցշու, 19 մօնիաշու, այնան 3 մույշու Շյուլու մօնուս, կուլցու  
մօնիա 4 դա Շյուլու մօնուս ս ուլանու 1. պայլա ց Շյարուցօթ ցամունու  
դա Տրուցեծ ացուրու մօնյանցուսցուրու կուլս, մաստանաց ուտյմու  
չցուլս ոցու ամոհուեհոյեցօթ դրու ուտյու աուրեծ.

Մաներսալուրու Շյարուցօթ Շյեսանասա և սայրուալ սանցետու եմարոնն  
կուճս, համելու գուաց աջցութշու Շյարու մօնամուշ դա եմուրու որուց  
յիրու մըրուշ ան յորտու մըրուշու համլցարու. ց կուլցեց Շյալս մնյ-  
լուա ցոյշեց դա սելցու արամու տու համուցրունից Շյուլուշու, ահա-  
մեց համուցրունից առյուլու Շյուլուց. Կեսա ց կուլցեց եմիսա. աս ե

კოდებს ზემო ნაწილში ან აქვს ხერელი ან არა და ზემოდანეე ამო-  
გრილია სამკუთხედათ. სწორედ ამდაგვარი კოდით დახურული და  
შემოფარგლულია ბექის თემში 11 წყარო.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: არის მაგალითები, როცე აც მინტ-  
რალური წყაროს წყალს სხვა უბრალი წყალს მიუშვ ბენ შესარევად,  
იმისათვის რომ ზოგიერთი ამ წყაროთაგანი, როგორც მოსახლეობა  
ფიქრობს, ისეთ შემადგენლობისაა, რომ მერძელ ს ქო ელს : შ-  
რაბს. პირიქით არის წყაროები, იშვიათად რას: კეირეველია, რომე-  
ლიც წველას უმატებს, რის გამოც არამც თუ ერთი თემის სოფლე-  
ბიდან თვით ბექაში, არამედ სხვა მახლობელ თემებიდანაც მოჰყავთ  
ხოლმე საქონელი რამოდენიმე ხნით საგანგებოთ ასეთი წყაროს წკ-  
ლის სახმელათ.

მოსახლეობას მიაჩინია ეს წყაროები საქონლასათვის საერთოდ  
ძლიერ სასარგებლოდ და სათანადლოთაც უწყობს მათ სპეციალურად  
გაკეთებული დიდი ხის ჭრუჭლის დაფარით, რომელშიც დარით წყა-  
როდან გადმოდის წყალი, მაგრამ თვითონ კი ნაკლებად ხმარობს ამ  
წყლებს. მაშინ როდესაც საქონელს უყვარს ეს წყლები და თვითონ  
შიგდაშივ არჩევს კიდეც საუკეთსო წყაროებს და საგანგებოდ შორი  
მანძილიდანაც მიეშურება სგიმის დასალევად, მოსახლეობა პირიქით  
ნაკლებ ეტანება მას ბექისში მაინც და ირგვლივ მთელი თემი დაჩი-  
ვიანებას იძლევა, განსაკუთრებით კი ის ს სოფლები, რომელიც არ  
სვამებ მას; მაგალითად მაზერი დაჩიუვიანების 38.7 პროცენტი, გუ-  
ლი 42.8 პროცენტი, ტეპიში 45.5 პროცენტი, ნაშაქოლი 37.9 პრო-  
ცენტი, ჭოხულდი 35.5 პროცენტი, ბაგვდანარი 31.7 პროცენტი, მა-  
შინ როდესაც არც ერთი მათგანში ჩიყვიანობა ბრულიად არ უნდა  
იქნეს, რადგან მინერალური წყლები ან შიგ ამ სოფლებში ან სულ  
შეირე მანძილითა მათგან დაცილებული.

ავილით სოფელი უშხვანარი, რომლის ჩრდილო — დასავლეთის ნა-  
წილი ხმარობს მის ზემოდ 200 მეტრის მანძილზე არსებულ ეგიმს,

მხედლთ სოფლის სამხრეთ — აღმოსავლეთი ნაწილი ამ სეიმს ნაკლებ ეტანება. ამის გამო დაჩიყვიანება სოფელ უშევანარში შენელებულია, მაგრამ არა საცხებით. იქ დაჩიყვიანების 28 პროცენტი გვაქს.

ბეჩიში არსებული მინერალური წყლების საშვალებით უკიდესად გავაქრობთ, სრულიად მოცემაბო ჩიყვიანობას, თუ სოფლებს შევაჩვევთ სეიმის ხმარებას. მხოლოდ ორ სოფელში დაგვჭირდება წალსადენის ჩამოყავანა: საცხელ უშევანარში 200 მეტრის მანძილზე და სოფელ ტვებიში 600 მეტრის მანძილზე. ბარევლი მათვარი უკვე გაკეთებულია მისახლების მხურვალე მონაწილეობით.

ბეჩის მომავალ კურორტზე არ უნდა იყენეს არც ერთი ჩიყვიანი, ბეჩის მომავალ კურორტზე უნდა იგზავნებოდეს სისხლნაკლულოვანი ავადმყოფები. ბეჩის მომავალ კურორტზე უნდა გაიშალოს მრავალი დასასესხებელი ხახლები, სადაც მუშა და კოლმეურნე, საბჭოთა მისამსახურე და ყველა მოქალაქე დასევნების ხანაში გამძლავრდება შრომის უნარის მომატებით.

გადავიდეთ ბეჩის ომის მინერალური წყაროების ცალკეულ აწერილობაზე. დავვგეთ ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მდინარე დოლრას ჯერ მარჯვენა ნაპირებს და შემდეგ ჩარცხენა ნაპირებს. აღნუსხულია მარჯვენა ნაპირით 9 წყარო:

წყარო № 1 — ს კ ე ლ შ ი შ ე გ ი მ. მდინარე დოლრასა და ბახის მთის კალთებზე არსებულ ტყის შუა, მდინარედან 100 მეტრით დაცილებული დაახლოებით, პირდაპირ ტყის პირზე. წყაროზე კოდის დაგვა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მის ახლო მრავალ ადგილას ჩუჩუქებს მცირე ნაკადები, რის გამო, წყაროს ცრდელივ მიდამო დაჭაობებულია და წყალი იქ ტბასავით სდგას. წყაროს სახელი წარმოსდგება სიტყვა „სკელა“ — საგან, რაც იმ მიღამოს ეწოდება. დებეტის გამორკვევა ვერ მოხერხდა წყაროს ცუდი მდგომარეობის გამო სოფელ ტვებიშიდან წყარო დაცილებულია დაახლოებით ერთნახევარი კილომეტრით.

ქმნიკუსი კუპის ის მიერ მინერალური წყაროს „სკელშიშ-სგიმი“-ს წყალი გამოკვლეული იქნა 1933 წლის 1 ივნისშემდეგ. ხე-  
ლელ გამოკვლევა შემდეგ სურათს იძლევა:

ტემპერატურა. . . . . 8 გრადუსი ცელსიუმით

<b>PL-I</b>	.....	6.4
რაღიაჟ ტიპობრა	.....	2.42 8 ასეს ერთეული

<b>CO<sub>2</sub></b>	თავისუფლი	.....	1.5080 გრამი
			ერთ ლიტრ წყალზე

<b>H<sub>2</sub>CO<sub>3</sub></b>	.....	1.8178 გ.	" "
რკინა	.....	0.0476 გ.	" "

თავისი შემადგენლობით ამრიგად წყარო „სკელშიშ-სგიმი“-ს წყალი  
საუკეთესო თვისებათაგანია და არ ჩამოუვარდება სხვა ცნობილ წყა-  
როების წყალს.

წყარო № 2 — ტემპი შიშ ს გ ი მ. მოთავსებულია მდინა-  
რეს ზემოდ 10 მეტრით დაცილებული ხილიზან. წყაროზე კოდი დგას.  
დაცილებულია სკელშიშ-სგიმის 1 კილომეტრით, მხოლოდ სოფელ  
ტკებიში ნახევარ კილომეტრით. ხალხი ტკებიშისგიმის სასმელად არ  
ხშარბს, საქონელისაგონის კი საუკეთესო წყაროთ ითვლება. ეს ის  
წყაროა, რომლის სხაც საქონელს წევლას უმატებს; ამის გამოა რომ  
მას ეტანებიან მეზობელი თემებიც: ეცერი, ცხუმარი, ლატალი,  
რომელთა სოფელებიდან საგანგებოდ მოშეკავთ საქონელი ხვანებს რა-  
მდევნიმე სწით. ბერის თემში ამ მხრივ ის ერთად ერთი წყაროა.  
დებიტის გამორკვევა მოუხერხებელი იყო ჩვენთვის.

წყარო № 3 — ლ ა ყ დ ა ნ ი ა შ ს გ ი მ. მოთავსებულია სოფელ  
ტკებიშის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტკები - თხილნარში ლაუდანის,  
სათიბზე, მთების მეზრა - ბაზის აღმოსავლეთ კალთებზე. დიდებუ-  
ლი აზგილია ჭურორტის მშენებლობისათვის, მშენებერი ხედი უშ-

ბას მწვერვალზე. უშბას ძირში კი იქთდან ჩრდილო-აღმოსავლეთით იხედება მომავალი დასასევენებელი სახლი, რომელსაც საქართველოს წითელი ჯვარი აშენებს. ლაყდანიაშვილის ჩაუგანა ტვებიში წყალ-საფენის საშვალებით შესაძლებელია, რადგან მოსახურხებელია სულ 600 მეტრის მანძილზე. წყარო ტუეში გამოდის მიწაში. დებიტის გა-მარტევება ცერ მოხსერხდა.

წყარო № 4 — 8 კ ც 8 რ ა. შ ს გ ი მ. მოთავსებულია საჯელ ტვე-ბიშის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთით, ცერედ წოდებულ მეც-ცრას სათიბებზე, სოფლიდან 200 მეტრის დაცილებით, მდინარედან 10 მეტრის სიმაღლეზე. სოფელი მეცერაშვილს არ ხმარობს. მის წყალს მკურნალიბითი მიზნით ერთ ხანს ხმარობდა ტვებიშის მცხო-ვრები აღვეში კვიცანი, რამელიც სათიბზე მიწაში გამომავალ წყა-რის უვლინა ავადმყოფობის დროს, მაგრამ როდესაც აღვეში განი-კურნა, იმანაც მიაჩება წყაროს მოვლას თავი და დღეს საგხებით მინებებულია. დებიტი მცირება, გამორკევევა ცერ მოვახერხეთ. კო-დით არ არის დაფარული.

წყარო № 5 — ქ ა ჯ ი შ ი შ ს გ ი მ. სოფელ ნაშტევლიდან ერთი კილომეტრითა დიცილებული. გზა წყაროსაკენ მიდის ნაშტევლის წილით სამხრეთ-დასავლეთით ტყეში, საღაც იგი უკვე ზავი ტუის მახლობლად დაბურულ მიდამიში მიგიყვანთ. ამის გამო ადგილს ტკის სახელი ეწიდება, საიდანაც წარმოიშვა წყაროს სახლწოდე-ბაც ქაჯიშიშვილი. წყარო გამოვლის მიწაში, დებიტი საშვალოა, არ გამოგვირკვევა. წყარო მიგდებულ მდგომარეობაშია, ხეებით დაფა-რული.

წყარო № 6 — კ ვ ა ჩ ს ა ნ ი ა შ კ ი ჯ ა შ ს გ ი მ. მოთავსე-ბულია სოფელ უშხვანარის მიდამიებში, მდინარე დოლრას ასწგ-რივ, საღ კლდეზე, ნაპირიდან 10 მეტრის სიმაღლეზე. კლდე ზემო-დან მოყოლებული სულ გაწილებულია. წყაროს მიდამოს კვაჩხანს ეძახიან, კოჯა კი კლდეს ნიშნავს. წყარო ჯერჯერობით გამოუყენ-ბელია მისი მიუდგომლობის გამო. დოლრაშესის სამუშაოების პე-

რიოდში წყაროსთან კლდეზე უნდა გასულიყო არხი და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იყო შესაძლებელი მისი გამოყენება.

წყარო № 7 — ლ ა ბ ლ უ ლ დ ა შ ს გ ი მ. მოთავსებულია ს ი  
ცელ უშხვანარის მიღამოებში, მის სამხრეთ-დასავლეთით მდინარის ზემოდ, მისაგან 25 მეტრის დაცილებით. წყარო გამოდის დაქანებულ ფენებიდან კლდეში. წყაროს ხმარობს იქვე მახლობლად დასახლებული ოემრაზ ჯ ა ჭ ვ ლ ი ა ნ ი ს ოჯახი. წყაროზე მიღიან ხიდით, რომლის ჩრდილოეთითაც არის იგი მოთავსებული. დებიტის გამორკვევა არ შეიძლებოდა. ლაბლულდაშვიმს ძალიან აქებენ, კუჭის უხდებათ.

წყარო № 8 — გ ა ლ შ ი შ ს გ ი მ. გალაში იმ მიზამოს ეწოდება, სადაც წყარო მდინარის ნაპირიდან დაცილებულია 15 მეტრით. იგი, მოთავსებულია წისქვილის მახლობლად და წისქვილში ჩამოსული ხალხი ხმარობს მას სასმელად. წყაროზე კოდი სდგას. ამოდის მიწა-ში, დებიტი არ გამოვგიყლევია. გალშიშვიმს ხმარობენ ჩემმატიზ-მის წინაამდეგ.

წყარო № 9 — ტ ყ ი რ შ ი ლ დ ა რ ი შ ს გ ი მ. მოთავსებულია სოფელ ქარფანის აღმოსავლეთით ძირს მდინარის ნაპირას სოლ-ლიდან ნახევარ კილომეტრით დაცილებული, მხოლოდ მდინარის ნა-პირიდან 15 მეტრით დაცილებული. გამოდის მიწაში.

გადავიდუთ ახლა მდინარე დოლრას მარცხება ნაპირის მიღამოებში მოთავსებულ მინერალური წყაროების აწერილობაზე; ხულ მარჯვენა ნაპირით ჩვენს მიერ აღნისაულია 19 მინერალური წყარო, რომელიც ზემოდ მოყვანილ 9 წყაროითურით უველანი შეტანილია ახლად შედგენილ რუკაზე.

წყარო № 10 — შ ტ უ გ რ ა შ ს გ ი მ. მოთავსებულია შტუგრას ყინვარის ქვემოდ კლდის თავზე, მდინარე დოლრას მარცხენა შესართავის — მდინარე შტუგრას მარცხენა ნაპირზე. შტუგრაშვიმს ხმარობენ მონადირენი, რონელნიც უშიას კალებზე არჩევ-ჯირვებზე

ნადირობენ. აღნიშვნულ წყაროს ძლიერ ეტანება ნაფირიც როგორც ჯიხვი, ისე არჩევი მისი სიმღაშის გამო.

წყარო № 11 — ლ ა ქ შ ა რ ი შ კ ი ნ ჩ ი შ ს გ ი მ. მოთავსებულია ლაქშარის მადამოებში ტყის დასაწყისში. რის გამოც მიეცა მას ზემოაღნიშვნული სახელშოდება. მდინარე დოლინაზან აღმასაცლელითი ურთ კილომეტრითაა. დაცილებული, მხოლოდ მისგან 300 მეტრის მანძილზე, სამსრეთ - დასავლეთი იმყოფება შიხრას წყარო ლაქშარიშვილჩხაშვილის გამოდის ტყეში მაშაშ. მისი ტყიდან სამოგანა უცდიათ მასახლეობას საქონლისათვის მისაწყდომათ, მაგრამ ტკის ბოლომდე იგი მუდამ ვერ აღწევს. დეპიტი მცირეა. სოფელი დან 2 კილომეტრამდე იქნება.

წ ყ ა რ ი № 12 — შ ი ხ რ ა შ ს გ ი მ. მოთავსებულია სოფელ მაზერის ჩრდილოეთით უშაბას კალობის ძირში დაუენილ ცელებს შუა. სოფელ მაზერიდან დაცილებულია ლაპლავებით იარი კილომეტრის მანძილზე. შიხრაშვიმს დღით სახელი აქვს ბერის თემში, იგი განთქმულია ბერიში. შიხრაშვიმ ერთად ერთა წყაროა, რამელიც ადანუსხულია ყველა რუკებზე, თუმცა სასტურივების აღუციმებად. დეპიტი, როგორც ჩანს დიდია, მხოლოდ იგი ირგვლივ ამანეფებს მრავალ აზგილას და ამის გამო, წყაროს ირგვლივ მთელი შედების გაფარგებულია. წყარო ვიწუში ამოდის, საღაც მიწისაგან ამაღლებულ აუგილზე კოდიცაა. 1933 წლის შემოგვომის დასაწყისში შიხრაში გრ-ის წყალი გამოსაყლებად აიღო საქართველოს კურონტულობის ანსტიტუტის მიერ ჩევნენს ექსპერიციაში მოვლინებულ ქიმიკოსმა ამს. კ უ პ ც ი ს მ ა. შიხრაშვიმს ყველა ეტანება, ვისაც კი მოუნდება მისი ახლოს გავლა. შიხრაშვიმი დიდ მნიშვნელობას მიიღებს მაშინ, როდესაც მის სამხრეთ-აღმოსავლეთით დამთავრდება მისგან 1 კილომეტრის მანძილზე საქართველოს წითელი ჯვრის მიერ წამოწყებული დიდი საქმე დასავენებელი სახლი, რომელიც უშბას კალთების ძირში შენდება მისგან გამომავალ ე. წ. უშბას წყლის მარჯვენა ნაპირას.

ჩევნ აქ საჭიროდ მიღებაჩნია მოყიდვაზოთ ქიმიკური კუპცე-  
სის მიერ შიხრაშეგიმის გამოკვლევის შედეგი. გამოკვლევას აქ-  
ცხ ჯერ ჯერაბით ხაველე ხასიათი. შიხრაშეგიმი მის მიერ გამოკვ-  
ლეულია 1933 წლის 1 ოქტომბერს.

გამოკვლევის შედეგი შემ ეც სურათს იძლევა: დღედამის დეპიტი  
15,000 გრამის უზრუნველყოფის შედეგი ტემპერატურა 9 გრადუსია ცელი-  
ჭმით (ამ დროა ჰაერის ტემპერატურა 16 გრადუსი იყო).

P 1-1 . . . . .	5.8
რადიოაქტივობა . . . . .	3.44 მასე ერთეული
CO2 თავისუფალი . . . . .	1.5400 გრამი.
I-1003 . . . . .	1.2810 გრამი.
რკინა . . . . .	0.066 გრამი.

ლაბორატორიული ზუსტი გამოკვლევის შედეგი ჯერ ხელთ არა  
გვაქვს, მაგრამ ზემო აღნიშნული გამოკვლევაც ტრიალ მიმშენებულებან  
ცნობებს გვაძლევს „შიხრაშეგიმი“ - შიხრას წყაროს წელის ოვისების  
შესახებ, რაღვევან შიგ მარილებისა და რეანის საკმაო რაოდენობაა.

წერილ № 13-კ ი ბულ დიშ ს გ ი მ. მოთავსებულია  
ხოუ. მაზერის ჩრდილო - აღმოხავდეთით მისგან 150 მეტრით დაცი-  
ლებული ჭაობიან ადვილიას, რის გამოც მას ეწოდება ჭიბულდიშ-  
გიმ-ჭაობის შეაცე წყალი. ხოცელი საერთოდ მის წყალს სახმელად  
ჰქიანობდა, მხოლოდ საქონელი ეტანებოდა მას ძლიერ. 1932 წლის  
ზაფხულში, როდესაც მაზერელ ახალგაზრდა ხანს ფრანცუზ უ-  
მ ფ რ ი ა ნ ს ტყიდან შეშა მოჰქონდა და ძლიერ: მოხუცურებია,  
დაულევია იგი და მოსწონებია. ამის შემდეგ ხალხსაც დაუწყია მისი  
სმია ამის მიხედვით კომეცვირელებს განუზრახავთ მისი გასუფთა-  
ვება-გასწორება და თხრაც კი დაუწყივიათ, მაგრამ ამის შემდეგ წყა-  
რო ცოტა გაფუძნებულა და მას ისევ მხოლოდ საქონელი ეტანება.  
საჭიროა აუცილებლად მისი გამოსწორება სპეციალისტის ზედამხე-

დველიაბით, რადგან წყალი სოფლისათვის ძლიერ გამოსადეგია. წყარო კოდითაა დახურული.

წყარო № 14 — ვე შ გ დ მ ა რ ი შ ხ ე რ ი შ ს გ ი მ-პირველი. წყარო მოთავსებულია ხოფელ ნაშთქოლის დასავლეთით მდინარესა-კენ, პირდაპირ მის ნაპირთან. ძლიერ მაგრად გამოსჩუქს კლდის ძირზე, მას ერთვის მდინარე ღოლრა და ფარაგს ხოლმე, შაგრამ მაინც ძლიერი და მაგარი ეგმოსია. რადგან წყარო მოთავსებულია სოფლის უკან, ამისათვის ეძახიან მას ვეზგდმარიშხერიშგიშს, რაც სოფლის უკან წყაროს ნიშტავს. დებიტის გამოკვლევა საძნელოა. სოფლიდან 200 მეტრითაა დაცილებული. ჩერნი აწერილობის მიხედვით ეს წყარო გასწარებული იქნა სოფელ ნაშთქოლის მოსახლეობის მიერ და კლდის გამონარევის შემჩევ ზედ კოდი დაიდგა. სოფელმაც ხელი-მისკო მის ხმარებას.

წყარო № 15 — ვე შ გ დ მ ა რ ი შ ხ ე რ ი შ ს გ ი მ-მეორე-პირველი წყაროდან დაცილებულია 40 მეტრით სამხრეთით, მდინარ-ის ზემოდაა ღრი მეტრით აწეული სილაში. სდგას კოდი. მდინარის აღილებასთან წყალიც ზევით ამოდის, დაკლებასთან ქვევით ჩა-დის. ხალხი ხანგამშევებით ხმარობს, თუმცა ძლიერ არ ეტანება დებიტის გამორკვევა არ შეიძლებოდა.

წყარო № 16 — ვე შ გ დ მ ა რ ი შ ხ ე რ ი შ ს გ ი მ-მესამე-მეორე წყაროდან სამხრეთით დაცილებულია 300 მეტრით. მდინარის პირას უხვად გამოდის კლდის ძირში სიღის მახლობლად. ძლიერ ეტანება მას საქონელი, განსაკუთრებით ზამთრის ხანაში. ეს წყარო სოფელ ნაშთქოლის ფარგლებშია მიხვან ნახევარი კილომეტრით და-ცილებული, ხილის ცოტა ოდნივ ქვემოდ. დებიტის გამორკვევა არ შეიძლებოდა.

უცელა ეს ნაშთქოლის მახლობლად მდებარე წყაროები გვაჩვენა სთველ ნაშთქოლის მცხოვრებმა ქემზა ცინდელი იანში, რო-მელიც გადმოგვცემდა, რომ მდინარის დაკლებისას გაზაფხულის პი-

რას ამდაგვარი 10-ლე წყარო მაინც ამოსჩუხს დოლრას ნაპირებზე  
ნაშთქოლის მიდამოებშით.

წ ყ ა რ ა №17 — გ ე რ მ ა ნ ი შ ს გ ი მ. მოთავსებულია სოფელ  
უშხვანარის მიდამოებში ომსაბჭოს საზეინკლა-სამშენებლო  
სახელო-  
სნოს დასაცლეთით მდინარის პირად მის მარჯვენა ნაპირი დან გამო-  
მავალ კლდეში. აღმოჩენილია 1918 წელს ამბ. გ. შ ე მ ა ნ ი შ ე ი-  
ლ ი ს მიერ. 1925 წ. მესანგრების მიერ, რომელიც საგანვებოდ  
იყვნენ მოწვეულინი, ნაწილობრივ ეს კლდე აუცილებელი იყო და  
კლდეებში ამის შემდეგ წყაროზე მოხტოხდა კლდის დაღვგმა. მისი  
დებიტი დღელამებში 5.000 ლიტრია. როგორც გადმიაგვცემუნ წყაროს  
წყალს შარდზე ხშირად გაყვანის ოვისება აქვს. ვერმანიშვილის წყა-  
ლი 1933 წ. შემოღვამის დასაწყისში გამოსაკვლევად აიღო ქიმიკოს  
კუპცის მა.

საველე ანალიზი, რომელიც წარმოებული იყო ქიმიკოსი კუპ-  
ცის მიერ 1933 წლის 2 აქტომბერს, შემდეგ სურათს იძლევა:  
დ ე ბ ი ტ ი . . . . . 5.000 ლიტრის დღე

წ ყ ლ ი ს ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა 11 გრადუსი ცელსიუმით  
(ჰაერის 3 გრადუსი ცელსიუმით)

P		6.1
რ ა დ ი ი ა კ ტ ი ვ ა ბ ა	:	9.66 მ ა ს ე ს ერთეული
CO <sub>2</sub> თ ა ვ ი ს უ ც ა ლ ი	:	0.9460 გრამი
I-ICO <sub>3</sub>	.	1.3054 გრამი
რ კ ი ნ ა .	:	0.0064 გრამი

გერმანეს წყაროს წყალი კარგ შენაერთებს იძლევა, მაგრამ მას  
ცოტა არ იყოს ასუსტებს დოლრას წყლის შერვება.

წ ყ ა რ ა № 18 — უ შ ხ ე ა ნ ა რ ი შ ს გ ი მ. მოთავსებ-  
ულია სოფელ უშხვანარის თავზე, მის აღმოსაცლეთით, ბალის ქე-  
დის კალთაზე ტყის პირას; წყაროზე სდგას კოდი, წყარო მიწაში

ამოდის; უშენარიშსგიმის სვამს განსაკუთრებით სოფლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობა, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი კი მას ნაკლებ ეტანება იმ მოსაზრებით, რამ მათ კარგი. წყარო აქვთ, ზაგრამ ჩიუვიანობას მათი წყაროს წყალი ვერ ცდის ჩიუვიანობა სოფელში 28 პროცენტითაა მოცემული. ჩვენი გვემით, ინტ. გ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ წარმოდგენილი, სოფლის თავშე არსებ ული უშენარიშსგიმი, წყალსადენის საშვალებით 200 მეტრის მანძილზე, ჩამოყალიბი უნდა იქნეს შუა სოფელში გზაზე; ეს იქნება პირველი ცდა ჩიუვიან ბრძოლის საქმეში. 1933 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აღნიშნული წყარო გადმოყვანილი იქნა შუა სოფელში ჩიუვიან ბრძოლის მიზნით, ამის შესახებ ჩვენ ცალკე გვინდება გამოქვეყნებული შრომა.

წ ყ ა რ ი № 19 — ვ ა ს ტ ა ნ გ ი შ ს გ ი მ. მოთავსებულია ცეკვიანის მიღამაებში მდინარის ნაპირიდან 20 მეტრით დაცილებული; ეს წყარო გზის პირადაა და მაპლობლად მდებარებას სოფელ უშენარის უკველაზე მოცილებით დასახლებული გორგი კ ვ ი ც ი ა ნ ი ს ა გ ა ნ, რომელიც ძირიშვილია ვახტანგ კ ვ ი ც ი ა ნ ი ს, განაც ძევლად ზემოხსენებული წყაროსაოვის მოულია; წყაროში კოდი დგას, დებიტის გამოკვლევა ძნელი შეიქნა; წყარო მიწაში ამოდის.

წ ყ ა რ ი № 20 — დ ა ლ ა ს ვ ი ფ ი შ ს გ ი მ — პირველი. მოთავსებულია ბეჩის ცენტრალურ ადგილას, საჭაც იმ ყოფება თემსაბჭო, სააგადმულოვ, სახწავლებელი და სხვა დაწესებულებები. აღნიშნულ მიდამოს ეწოდება დოლასვიფი, აქედანაც წყაროს სახელწოდება. წყაროზე ორი კოდი დგას — ზემოდ და ქვემოდ და მისგან ღარით ხვრელის საშვალებით წყალი გარეთ გამოდის. წყაროს ირგვლივ მიღამა შემოუსარგლულია სის გალავანით, რომელშიც ჩასვენების მიზნით სკამიცაა გაკეთებული და კოდის ირგვლივი მიღამო ქვით დაფენილია. ძლიერ მაგარი წყალია. დებიტი 4,000 ბა-

რჯომის ბოთლი დღე-ღამეში. ამოდის მიუაში.

წყარო № 21 — დ ო ლ ა ს ვ ი ფ ი შ ს გ ი მ — მეორე. პირ-  
ელი წყაროსაგან სამხრეთდასაცლეთითაა მოთავსებული, ნიხან 25  
შეტრის მანძილზე. წყალი ამოდის სათიბში. გათხრილია 1933 წლის  
ზაფხულში ზექის მუშა-მოსამასახურების მიერ ექიმი გახტანგ მა-  
ლ რ ა ძ ი ს თაოსნობით, მაგრამ გაუკეთებელი დარჩა და მივარ-  
ნილ მდგომარეობაშია.

სანამ გადავდოდეთ ამ მიმართულებით დანარჩენი წყაროების აღ-  
ნუსვაზე, რომელნიც მოყვანილი გვაქს ბოლოში ნომრებით 25, 26, 27  
და 28, საჭიროა აღნუსხოთ კიდევ სამი წყარო გულისჭალას ხეობით  
მდინარე დალრას მარცხენა ნაპირებზე არსებული წყაროებს შო-  
რის უნდა ცალკე გამოყოოთ კიდევ სამი მინერალური წყარო მდინა-  
რე დოლრას შესართავის მდინარე გულისჭალას ხეობაში მოთავსე-  
ბული: №22, №23 და №24.

წყარო № 22 — ნ ა მ ჟ ი რ ა შ ს გ ი მ. მოთავსებულია  
მდინარე გულისჭალას მარჯვენა ნაპირზე გულის ყინვარიდან დაცი-  
ლებული სამსრეთ-დასაცლეთით. 1 კილომეტრით, მხოლოდ სოფელ  
გულიდან დაცილებული ჩრდილო - აღმოსავლეთით 2 კილომეტრით  
ნამჟირაშეგიშს ეტანება საქანელი, მაგრამ განსაკუთრებით კი არჩიო  
და ჯიხვი; ამის გამო მონაცირენიც მას არ სვამენ იმ მოსაზრებით  
რომ მაშინ ნადირი ნაკლებათ მიეკარება, რაც ნადირობისათვის ხელ-  
საყრელი არ არის. წყაროს დებიტი მცირება.

წყარო № 23 — გ უ ლ ი შ ს გ ი მ. მოთავსებულია მდი-  
ნარე გულისჭალას მარჯვენა ნაპირზე სოფელ გულიდან 100 მეტრით  
დაცილებული ჩრდილო - აღმოსავლეთით. ეს წყარო საერთოდ არ  
ჩანდა, მხოლოდ სათიბების ბოლოს აქა-იქ გამოდიოდა ხეიმი წყალნა-  
რევი, რომელსაც საქანელი ეტანებოდა. სოფელ გულის მოსაზრები-  
ბა მას არ ხმარობდა, რასაც მოწმობს იქ 42.8 პროცენტით მოცემუ-  
ლი დაჩიყვიანება. 1933 წლის ზაფხულში მოწიდან გამომავალ სეი-

მის მიუხმო გათხარეს გულის მცხოვრებლებმა ეგნატე გ ე რ ლ ი ა, ნ მ ა (მოწაფეა მეტსიაში) და გრიშა კ ვ ი ლ ი ა ნ მ ა. მიწის გათხრისთანავე აღმოჩნდა, რომ მიწის ქვეშ წყაროში ჩამდგარი ყოფილა 2 ხის ჭოდი 2 მეტრის სიმაღლეზე. ყოფილა მშევნიერი მინერალური წყარო ძელადგანვე ცნობილი. რა დროიდან არის ის კოდები. ჩამდგარი და შემდევ დაკარგული, სოფელში არავის ახსოებს.

ჩვენი მოსაზრებით წყაროს მანძლობლად 40 მეტრის მანძილზე ძველი ციხე-კოშკი და ნასახლარის ნანგრევების კედლების ნიშვნები წყაროში კოდების ჩამდგმელზე მიგვითოვებენ. უყვითელად ამ წყაროს ოავისი კოდებით მასთან შექნია უახლოესი დამოკიდებულება. იმ ციხე-კოშკში იქნებოდა მისი გამოყენებელი და მომხმარებელი.

დღესდღეობითაც გულიშეგის სოფელ გულის მცხოვრებლები არ ხმარობდნ. თვით წყაროს ახლო - მახლო მიღამოებიდან ერვა უბრალი წყალი და სოფლელები არც აცილებენ მას განზრას იმ მოსაზრებით, რომ მხოლოდ სუფთა სვინი საქონელს მეტველობას უკლებსა. წყაროს დებიტი 4000 ბრრჯომის ბრილის უდრის.

უნდა ითქვას, რომ გულს დიდი მომავალი აქვს, რასაც აღბად ახლო მომავალი გვიჩვენებს, მხოლოდ სოფელი გული უნდა დაწაულს გულიშეგიმის ხმას. ამის შესახებ ჩვენ მათთან გვინდა ჩაასი.

წ ყ ა რ ო № 24 - ბ ა გ ვ დ ა ნ ა რ ი შ ს გ ი მ. მთელს ბულია მდინარე გულის გალის მარცხენა ნაპირით ხვალმის კლდის ძირში, სოფელ ბაგვაძეარიდან 200 მეტრით დაცილებულია. მდინარე აღიდების დროს ხშირად წალევავს ხოლმე მას. წყალი წმინდაა, მცირე ამიღვის, უფერულია, არ ჩუხჩიუხებს.

წ ყ ა რ ო გ ბ ი № № 25,26,27 - ს გ ი მ ლ დ ა რ ი შ ს გ ი მ. გვარაგებულია სამივე წყარო მდინარე დოლრასა და სოფელ უშესვა-არის გზის შუა, ეგრევ წალებული სვიმლდარის მიდამოს ველზე, რაც მჟავე წყლის გელი ნაშრავს. აქდან წყაროს სახელში და- პ-ც-ცვიმლდარიშეგიშ. საზი წყარო მდინარე დოლრას მარცხენა ნავი-

რჩეა მათავსებული ქვებიან ველზე, მდინარიდან 30 მეტრით დაცი-  
ლებული გახტანგიშვილის სამხრეთით 100 მეტრის მანძილზე. თვით  
წყაროები ერთი მეორისაგან 25 მეტრის მანძილზეა დაცილებული,  
ამაღლის სამივე მიწაში ქვის ლიაფებს შორის. კოდი არც ერთს არ  
უდგია, თუმცა წიაად ერთზე მდგრად კოდი. ამ წყაროების მიღამოში  
მასახლე არ არის. სეიმლდარიშვილს ძლიერ ეტანება საქანელი.

წყარო № 28 — ლაკლმარი შეს გიმ. მოთავსებუ-  
ლია საჯულ უშვანარის, - დოლასვიუის შუა მანძილზე, უფრო დო-  
ლასვიუის სათბების მასლობლად გზისა და მდინარე დოლრას შუა,  
მის მარცხნა ნაპირზე ხეების ქვეშ, პირდაპირ მდინარის ნაპირას.  
წყარო უხვად ამიდის. როგორც ამბობენ კარგი წყაროა, მაგრამ ხეი-  
ძი არ არის, თუმცა გამოსვლისთანავე იგი რუსეთი მიღის მოწი-  
ოვლალერად, ალბად მრავალ შენარევ სკომისებან. სახელწოდება წა-  
რმოსდება ადგილიდან, რომელსაც საკალმახოს ეძახია, რადგან  
იქ მდინარიდან გვერდებზე გასულ წყლების თბილ მიღამის კალმახი  
ეტანება კვერცხების დასაყრელად და მათ სწორედ ამ დროს იშერენ  
სიძათლის შუქშე.

ასეთია მოკლეთ ბერის თემში არხებული მინერალური წყაროების  
აწერილობა — აღნუსხვა და ეს ფასდაუდებელი სიმდიდრე დღემდე  
თაოქმება, გამაჟუენებელია. დადგა დარა მათი გამაჟუენების.

მაშ მიგყოთ ხელი ბერის მინერალური წყლების ყოველმხრივ  
გამაჟუენებას, მათ მოწყობა გახურებას. ბერის მინერალურ წყლებზე  
დამდეიდებულია ბერის მიღამოების დიდი მომავალი.

ზემოხსენებული გამოკვლევა — აწერილობის მიხედვით ჩვენ შესაძ-  
ლოთ მიგვამინია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ზემო სვანეთი, ენგურის ხელბაში მდებარე, კავკასიონისა და სვა-  
ნეთის ქედებს შუა, მდინარია მინერალური წყაროებით.

2. ალსანიშვილია ის გარემოება, რომ მინერალური წყაროები სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად, ერთი მთავარი ფაქტორთაგანია კუ-სორტის განვითარებისათვეს.

3. ამ მჩრივ ბეჭის თემი უნდა ჩაითვალის ისეთ ადგილათ, სადაც ჩენ გვაქვს მინერალური წყაროების უხვი რაოდენობა.

4. ბეჭის თემში ძველი ხუკვერსიანი ათვერსიანი და ერთვერსიანი რუკებითაც კი ერთი ან თრი მინერალური წყაროა ნაჩვენები: დოლასითავისა და შირხასი, ისიც დაუსახელებელი.

5. ჩენს მიერ აღნუსხულია, აწერილია და სათანადო რუკაცაა შეზღენილი ერთვერსიანი ზომსადარით 28 მინერალური წყაროს აღ-ნიშვნით მოტლ ბეჭის თემში.

6. 28 წყაროდან 1933 წელს ჩენ ექსპედიციაში შემავალი ქიმიუ-რი რაზმის მიერ გამოკვლეული იყო ჯერჯერისათ ბეჭის თემიდან მაკლიდ სამი მინერალური წყარო. \*

7. ბეჭის მინერალური წყაროები, ისევე როგორც საერთოდ ზემო სვანეთის სხვა თემებში არსებული მინერალური წყაროები, თითქმის უცემა, თითა - თრადა გამოაკვლასთ, ერთი სახისაა, რკინა-იოდ - ჩარილებისაგან შემდგარი.

8. ბეჭის თემში მოსახლეობა შაინცალამაინც ძალიან არ ეტანება შინერალური წყაროების წყლის სმას, რიცაც აისხნება შედარებით დიდი ჩიყვანობა გის ხოლებში - 25.9 პროცენტი; საქონელი კი პირიქით ძლიერ ეტანება ამ წყლებს.

9. ბეჭის მინერალური წყაროები უმთავრესად მივარდნილია და უკურადღებოთაც მიტოგებულია, მხოლოდ 11 მათგანს მაინც აქცს ხის კოალი ჩადგმული.

10. უკვე სათანადო ახსნა - განმარტების შემდეგ მოსახლეობამ დაწყო მინერალური წყაროების მოვლა - პატრონობა, განსაკუთრებით კი იმის შემდეგ, რაც ამ წყლებს ჩენ ჩიყვის საწინაამდევნებ ფიურენებთ.

## o. օ Ե լ ա ն ո Շ ց ո լ ո ւ

„ზემო სვანეთის მინერალური წყაროები“  
აიწყო და დაიბეჭდა მესტიაში ზემო სვანეთის  
რაიკომის, რაიაღმასკუმის და რაიპროცესაბჭოს გაზეთი  
„ახალი სვანეთი“-ს რედაქტორის სტამბაში.

სტამბის გამე და წიგნის | ტეხრედაქტორი  
შალვა კაპანაძე  
შეტრანსლი და ბეჭდვის ხელმძღვანელი  
საშაჩიხლაძე

ასოთამშეცვლის: 1.ქრისტინე ნაკანი  
2.ელენე ხერგიანი  
3.ნინო ჯაფარიძე  
მებანქანე ნესტორ მუშკულიან

გაზეოთ „ახალი სიამშენი“ს რედაქციის სტამბა.